ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომა

ო ქ მ ი#13

25 ოქტომბერი 2022 წელი

ქ.ბაღდათი 10.30 სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა:

თორნიკე გაჩეჩილაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ბიძინა ჯაბიძე
თეა გოგნაძე
ირინა ტყეშელაშვილი
სიმონ ჭოლოკავა
გიორგი კოტორეიშვილი
ზაზა ზივზივაძე
ალექსანდრე ფახურიძე
ნინო კვირიკაძე
კახა კოხოძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი: ქეთევან კარკაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამბულატორიების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ

მომხს. ქეთევან კარკაძე

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხები

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1 კომისიის თავმჯდომარემ თორნიკე გაჩეჩილაძემ წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამბულატორიების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი: ქეთევან კარკაძემ

კომისიის წევრი: ირინა ტყეშელაშვილმა კითხვით მიმართა ქეთევან კარკაძეს, რას უზრუნველყოფს ჰოლდინგი და რამდენად კმაყოფილი იქნება მოსახლეობა ამბულატორიების მუშაობით

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი: ქეთევან კარკაძემ უპასუხა ირინა ტყეშელაშვილს, რომ ჰოლდინგის მუშაობის ფუნქცია გათვლილია სახელმწიფოს მიერ და უნდა უზრუნველყოს ჰოლდინგმა ამბულატორიების გამართულად მუშაობა ჩვენ უნდა გადავცეთ და შემდგომ ვალდებულება ჰოლდინგმა უნდა განახორციელოს

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ: თორნიკე გაჩეჩილაძემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამბულატორიების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ მიიღოს კომისიამ და გატანილ იქნას საკითხი საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიამ გადაწყვიტა:

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამბულატორიების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ მიიღო კომისიამ და გატანილ იქნას საკითხი საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

სხდომის დღის წესრიგით მიხედვით საკითხები ამოიწურა
სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე : თორნიკე გაჩეჩილაძე